



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 39

2017 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებულ „სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №27 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.133.016222, ვებგვერდი, 01/11/2017) და დადგენილებით დამტკიცებული „სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„რ) სტრუქტურული ერთეული - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომელიც ახორციელებს დაწესებულებების ავტორიზაციას და ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგს, შეფასებას და ანგარიშგებას.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე